

გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ანალიზი

პროექტის ნომერი: 43405

2010 წლის ნოემბერი

შემოთავაზებული მრავალტრანშიანი
დაფინანსების მექანიზმი
საქართველო: ურბანული მომსახურებების
განვითარების საინვესტიციო პროგრამა

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AP	დაზარალებული პირი
CWRD	ცენტრალური და დასავლეთ აზიის რეგიონის დეპარტამენტი
DQMEP	ხარისხის მართვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი
EA	ადმინისტრაციული სააგენტო
EARF	გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ანალიზი
EEC	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EIP	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა
EMP	გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
GoG	საქართველოს მთავრობა
GRC	საინჟინერო განხილვის და დაკმაყოფილების კომიტეტი
GUSIIP	საქართველოს ურბანული სექტორის განვითარების საინვესტიციო პროგრამა
IA	განმახორციელებელი სააგენტო
IEE	პირველადი ეკოლოგიური კვლევა
MDDP	მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის პროექტი
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი
MoEPNR	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MoRDI	რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OSPF	პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი
OCRPF	შესაბამისობის განხილვის ექსპერტთა ჯგუფის ოფისი
PIU	პროექტების განხორციელების დეპარტამენტი
IPMO	საინვესტიციო პროექტების მართვის სამსახური
REA	სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასება
UWSCG	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშში "\$" ნიშნავს აშშ დოლარს.

სარჩევო

- I. შესავალი
- II. სამართლებრივი ბაზისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება
 - ა. ეროვნული კანონმდებლობა
 - ბ. აზიის განვითარების ბანკის (ADB) პოლიტიკა
- III. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება
- IV. გარემოსდაცვითი შეფასება პროექტებისა და კომპონენტების თვალსაზრისით
 - ა. გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა
 - ბ. პირველადი ეკოლოგიური კვლევების მომზადება
 - ბ. გარემოზე ზემოქმედების შეფასებების მომზადება
 - დ. იმ პროექტებთან დაკავშირებული პროცედურა, რომელიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას
- V. კონსულტაციები, ინფორმაციის მიწოდება და საჩივრების განხილვა
 - ა. კონსულტაციები და ინფორმაციის მიწოდება
 - ბ. საჩივრების განხილვის მექანიზმი
- VI. ინსტიტუციონალური საკითხები და პასუხისმგებლობები
 - ა. პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები
 - ბ. ინსტიტუციონალური პოტენციალი და განვითარება
 - ბ. კადრებით დაკომპლექტება და ბიუჯეტი
- VII. მონიტორინგი და ანბარიშება

დანართები

- დანართი 1: საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა (ნუსხა და რუკა)
- დანართი 2: საქართველოს მთავრობის ზედაპირული წყლის სახელმძღვანელო
- დანართი 3: საქართველოს მთავრობის სასმელი წყლის სახელმძღვანელო
- დანართი 4: საქართველოს მთავრობის ჩამდინარე წყლების განკარგვის სტანდარტები
- დანართი 5: REA-ს საკონტროლო სია - წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა
- დანართი 6: EIA/IEE ანგარიშის მონახაზი
- დანართი 7: DQMEP-ს სტრუქტურული სქემა
- დანართი 8: გარემოს დაცვის შესაბამისობის პროცესის სქემა
- დანართი 9: DQMEP-ს ორგანიზაციული ქმედითუნარიანობის შეფასება
- დანართი 10: გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლები (DC)
- დანართი 11: გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლები (SC)
- დანართი 12: გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლები (DQMEP)

ცხრილების ჩამონათვალი

- ცხრილი 1:** სხვა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობები და მათი

გამოყენებადობა

- ცხრილი 2:** გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები
- ცხრილი 3:** ეკოლოგიური კრიტერიუმები პროექტის შერჩევითვის
- ცხრილი 4:** პროექტის კატეგორიზაცია
- ცხრილი 5:** სასწავლო გეგმა
- ცხრილი 6:** თითოეული ქვეპროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მართვის ხარჯები
- ცხრილი 7:** EARF განხორციელების სავარაუდო ხარჯები

I. შესავალი

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ანალიზს (EARF) აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული საქართველოს ურბანული მომსახურებების განვითარების საინვესტიციო პროგრამისთვის (ან საინვესტიციო პროგრამისთვის). დოკუმენტი მომზადდა იმისათვის, რომ ადეკვატური ყურადღება გამახვილდეს აზიის განვითარების ბანკის (ADB) უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმი (2009წ.) მოთხოვნები და უნდა დაამტკიცოს საქართველოს ხელისუფლებამ. წინამდებარე EARF-ს მომზადების მიზანია იმ ფორმალური სტრუქტურის უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება გარემოზე ზემოქმედების შესახებ ახალი და შესწორებული ქვეპროექტების შეფასება და სამომავლოდ შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენება აღმასრულებელი სააგენტოს მხრიდან, ADB-ს პოლიტიკის შესაბამისად.

2. საინვესტიციო პროგრამა შემუშავდა, როგორც მთავრობის პასუხი საქართველოს საქალაქო ზონაში სათანადო და/ან უსაფრთხო წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიტარულ-ტექნიკური სისტემების არარსებობაზე. აღნიშნული პროგრამის მიზანია შერჩეულ საქალაქო ტერიტორიებზე სოციალური და ეკონომიკური განვითარების ოპტიმიზაცია (პროვინციის დედაქალაქები და მეორე ქალაქები) ქალაქის წყალმომარაგების და სანიტარულ-ტექნიკური (WSS) სამსახურების მეშვეობით, და დაფინანსდება ADB-ს მიერ მრავალტრანშიანი ფინანსებით. (MFF). აღნიშნული საინვესტიციო პროგრამა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 625 მილიონ აშშ დოლარს, განხორციელდება ექვს შერჩეულ ქალაქში (ნახაზი 1) სამ ტრანშად დაფინანსებით 8 წლის განმავლობაში, 2011 წლიდან.

3. საინვესტიციო პროგრამა უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მთელი რიგი ქვეპროექტების განვითარებით, დაპროექტებით და განხორციელებით; თითოეული ქვეპროექტი უზრუნველყოფს გაუმჯობესებას ერთი ქალაქის კონკრეტულ სექტორში (წყალმომარაგება და/ან საკანალიზაციო სისტემა). ქვეპროექტები უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და/ან ახალი და დიდი მოცულობის ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს ამჟამინდელ და მომავალ მოთხოვნებს. წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების სამუშაოები მოიცავს სათავის გაფართოებას და წყალმიღებ ნაგებობას, სატუმბ სისტემებს, გასუფთავების ნაგებობებს, წყლის მიწოდების და განაწილების ქსელს; და საკანალიზაციო სისტემის გაუმჯობესების სამუშაოები მოიცავს საკანალიზაციო ქსელს, მაგისტრალურ კოლექტორს და ჩამდინარე წყლების გასუფთავების ნაგებობებს.

4. საინვესტიციო პროგრამა გააუმჯობესებს ქუთაისის, ფოთის, მარნეულის, ზუგდიდის, ანაკლიის და მესტიის ურბანულ ცენტრებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობას. საინვესტიციო პროგრამის შედეგი იქნება გაუმჯობესებული WSS-ს სამსახურები აღნიშნული ქალაქების ცენტრებში.

- (i) პირველი ტრანშის შედეგად მოხდება წყალმომარაგების სისტემის წყალმიმღები და გამწმენდი ნაგებობების გაუმჯობესება ზუგდიდში, ანაკლიაში, მესტიაში და მარნეულში. ასევე გაუმჯობესდება UWSCG-ს ინსტიტუციური ეფექტურობა კონტრაქტორის დანიშნით მართვის საკითხებში. პირველი ტრანშის განმავლობაში დაინიშნება კონსულტანტები საინჟინრო პროექტირების და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკითხებში საინვესტიციო პროგრამის ექსპივე ქალაქში. დეტალური ტექნიკური პროექტირების დასრულება საინვესტიციო პროგრამის ექსპივე ქალაქში იგეგმება 2011 წლის ბოლის.
- (ii) მეორე ტრანში (ა) გაუმჯობესებს WSS-ს სისტემებს მარნეულის, ქუთაისის, ფოთის და ზუგდიდის პირველ ზონაში; (ბ) დაასრულებს WSS-ს სისტემებს ანაკლიასა და მესტიაში; და (გ) დაასრულებს ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი ქარხნების (STP) მშენებლობას მესტიაში.
- (iii) მესამე ტრანში (ა) გაუმჯობესებს WSS-ს სისტემებს ქუთაისის მეორე ზონაში; (ბ) დაასრულებს WSS-ს სისტემებს ფოთსა და ზუგდიდში; და (გ) დაასრულებს ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი ქარხნების (STP) მშენებლობას ფოთსა და ზუგდიდში.
- (iv) მეოთხე ტრანში დაასრულებს WSS-ს სისტემებს და ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი ქარხნების (STP) მშენებლობას ქუთაისში.
5. საინვესტიციო პროგრამის 1-ელი ტრანში, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 105 მილიონ აშშ დოლარს, მოიცავს შემდეგ ქვეპროექტებს:
- (i) წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება მარნეულში (არსებული საბურღი ჭაბურღილების რეაბილიტაცია, ახალი სადიზენფექციო ნაგებობა, მილსადენების დაგება, რეზერვუარების რეაბილიტაცია / მშენებლობა და სატუმბი სისტემები);
- (ii) წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება მესტიაში (ახალი წყაროს განვითარება, წყალსადენის მაგისტრალის დაგება, წყლის გასუფთავების სადგურის და რეზერვუარების მშენებლობა);
- (iii) წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ზუგდიდსა და ანაკლიაში (ახალი წყაროს განვითარება, წყალსადენის მაგისტრალის დაგება, წყლის გამწმენდი სადგურის მშენებლობა და არსებული რეზერვუარების რეაბილიტაცია).
6. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MoRDI) არის საინვესტიციო პროგრამის აღმასრულებელი სააგენტო (EA), ხოლო საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) არის განმახორციელებელი სააგენტო (IA). EA პასუხისმგებელია აზიის განვითარების ბანკის (ADB) პროცედურების, მათ შორის ეკოლოგიური და სოციალური

უსაფრთხოების დაცვაზე, როგორც გათვალისწინებულია 2009 წლის ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმში (SPS). წინამდებარე EARF აფასებს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და აზიის განვითარების ბანკის სიფრთხილის ღონისძიებების პოლიტიკის მოთხოვნებს, და აღწერს იმ პროცედურებს, რომელიც უნდა შეასრულოს EA-მ და IA-მ, რათა უზრუნველყოფილ იქნას საინვესტიციო პროგრამის თითოეული ტრანშით დაფინანსებული ყველა პროექტის სიფრთხილის ღონისძიებებთან შესაბამისობა. საინვესტიციო პროგრამის შეფასებამდე, წინამდებარე EARF გადაითარგმნება ქართულ ენაზე და გავრცელდება ყველა დაინტერესებულ პირს შორის, ხოლო ინგლისური ვერსია გამოქვეყნდება აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდზე.

ნახაზი 1: საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული კლასები

II. სამართლებრივი ბაზისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება

ა. ეროვნული კანონმდებლობა

7. გარემოსდაცვითი შეფასების და გარემოსდაცვითი ნებართვების ქართული სისტემა შეიქმნა 1997 წელს „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ კანონების ამოქმედებით. ამჟამად, გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების პროცედურა საქართველოში ფორმულირებულია შემდეგ კანონებში:

- (i) **2008 წლის საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.** აღნიშნული კანონი ცვლის 1997 წლის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ წინა კანონს და ადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (EIP) მოპოვების პროცედურას, ასევე განსაზღვრავს იმ საქმიანობებს ან პროექტებს, რომელიც ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას (EE, იხილეთ ქვემოთ) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის მიზნით. კანონი აღწერს პროცედურებს, ასევე პროექტის მომხრე და ნებართვის გამცემი ორგანოს - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (MoEPNR) მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.
- (ii) **2008 წლის საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“.** აღნიშნული კანონი ცვლის 1997 წლის „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ წინა კანონს, და განსაზღვრავს ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითად პრინციპებს. ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გამოყენების მხარდასაჭერად წარდგენილი EIA დოკუმენტის ანალიზს, რომელსაც ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ზემოქმედების საკითხებში და პროექტის პროფილთან დაკავშირებული სხვადასხვა დისციპლინებიდან შერჩეული დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი კომისია. დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (EEC) შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გაიცეს გარემოსდაცვითი ნებართვა, ხოლო ექსპერტების მიერ გაწეული რეკომენდაციები თან ერთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვას პირობების სახით.
- (iii) **2005 წლის კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.** აღნიშნული კანონი არეგულირებს იმ ქმედებებს, რომელიც სავარაუდოდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ცხოვრებას და ჯანმრთელობას, ასევე მართავს კონკრეტულ სახელმწიფო თუ საზოგადოებასთან ინტერესებს, მათ შორის სახელმწიფო რესურსების გამოყენებას. კანონი არეგულირებს აღნიშნულ ქმედებებს ლიცენზიების ან ნებართვების გაცემით ან გაუქმებით.

8. საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი ქმედებები ან პროექტები შედის 2008 წლის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“

კანონის ფარგლებში და შესაბამისად, საჭიროებს MoEPNR–ს მიერ გაცემულ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას:

- (i) 10,000 მ³ ან მეტი ტევადობის წყალსაცავის მშენებლობა;
- (ii) მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის (მაგისტრალური კანალიზაციის) ინსტალაცია; და
- (iii) 1,000 მ³ ან მეტი ტევადობის კანალიზაციის გამწმენდი სადგურების მშენებლობა.

9. **გარემოზე ზემოქმედების ლიცენზიის მოპოვების პროცედურები.** გარემოზე ზემოქმედების ლიცენზიის გაცემის პროცესი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს: (i) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) შესწავლას და ანგარიშგებას, (ii) ეკოლოგიურ ექსპერტიზას (EE), და (iii) საზოგადოებრივ მონაწილეობას. პროექტის მომხრემ უნდა მოამზადოს და წარადგინოს EIA ანგარიში. MoEPNR არ გასცემს რაიმე სპეციალურ ნებართვას იმ პროექტებზე, რომლებიც საჭიროებს სამშენებლო ნებართვას (თითქმის ყველა ახალი სამშენებლო პროექტი) („ერთი ფანჯრის პრინციპის“ შესაბამისად, მხოლოდ ერთი ნებართვა გაიცემა თითოეული აქტივობისთვის). სამშენებლო ნებართვას გასცემს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MoRDI), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და პროექტის პროფილის შესაბამისი სხვა ინსტიტუციების თანხმობის საფუძველზე.

10. **სხვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობები.** EIA–სთან დაკავშირებული კანონების გარდა, არსებობს საქართველოში ამჟამად მოქმედი სხვა კანონები და წესები, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის საკითხებს. აღნიშნული წესები მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს იმ საქმიანობაზე, რომელიც საჭიროებს სახელისუფლებო მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან თანხმობას. **ცხრილი 1** დეტალურად წარმოადგენს შესაბამის გარემოსდაცვით კანონმდებლობებს და საინვესტიციო პროგრამის კომპონენტებთან მათ მისადაგებას.

ცხრილი 1: სხვა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობები და გამოყენებადობა

კანონმდებლობა	გამოყენებადობა	შენიშვნები
საქართველოს ტყის კოდექსი, 1999წ.	ვრცელდება ტყოს ტერიტორიებზე მიმდინარე სამუშაოებზე	საჭიროებს ნებართვას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MESD) ნებართვას. პროექტის მომხრე პირმა განცხადება უნდა წარუდგინოს MESD-ს, რომელიც თავის მხრივ გაუგზავნის მას MoEPNR-ს სატყეო განყოფილებას განსახილველად და გადასაწყვეტად, რომლის საფუძველზეც MESD გასცემს ტყის ტერიტორიებზე სამუშაოების დაწყების ნებართვას.
ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონი, 2000წ.	-	ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებლის მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციას (MAC), თუმცა, სხვადასხვა წყაროებთან თუ ქმედებებთან დაკავშირებული გამონაბოლქვის სტანდარტები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და შესაბამისად, ამჟამად არანაირი სტანდარტი მოქმედებს.
დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონი, 1996წ.	ვრცელდება დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე სამუშაოებზე ან საქმიანობაზე	ნებისმიერ სამუშაოზე ნებართვის გაცემა ან არგაცემა დამოკიდებულია აქტივობაზე და დაცული ტერიტორიის ტიპზე.
სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი, 2007წ. (ბრძანება №349/6), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ვრცელდება წყალმომარაგების პროექტებზე	წყალმომარაგება და მონიტორინგი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლამენტს.
საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები, 1996წ. (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №130)	ვრცელდება წყალმომარაგების პროექტებზე	წყაროს წყლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი გამოყენებისთვის დადგენილ დებულებებს.
გარემოსდაცვითი ტექნიკური	ვრცელდება	ჩამდინარე წყლების გადამუშავების

კანონმდებლობა	გამოყენებადობა	შენიშვნები
რეგლამენტი, 2008წ. (ბრძანება №745), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი	კანალიზაციის პროექტებზე	ქარხნიდან მომდინარე დამუშავებული ჩამდინარე წყლები უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სტანდარტებს.

წყარო: MoEPNR, საქართველო.

ბ. აზიის განვითარების ბანკის (ADB) პოლიტიკა

11. შეცვალა რა სიფრთხილის ღონისძიებების წინა პოლიტიკები (არანებაყოფლობითი გადასახლების პოლიტიკა, 1995წ., ადგილობრივ მაცხოვრებლებთან დაკავშირებული პოლიტიკა, 1998წ., გარემოსდაცვითი პოლიტიკა, 2002წ.), 2009 წელს ADB-მ მიიღო მრავალმხრივი უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმი (SPS, 2009წ.). აღნიშნული მემორანდუმი აღწერს ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების საერთო მიზნებს, აყალიბებს პოლიტიკის პრინციპებს, და განსაზღვრავს ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების პოლიტიკის მიწოდების პროცესს. მემორანდუმი ვრცელდება ADB-ს მიერ დაფინანსებულ, ADB-ს მიერ მართულ ყველა პროექტზე და მათ კომპონენტებზე, მათ შორის სესხით, გრანტით ან სხვა საშუალებით დაფინანსებულ საინვესტიციო პროექტებზე.

12. პროექტების პოტენციური უარყოფითი გავლენისგან გარემოს და ადამიანების დაცვით პროექტის შედეგების მდგრადობის ხელშეწყობასთან ერთად, ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების მიზნები ემსახურება შემდეგს:

- (i) გარემოზე და დაზარალებულ ხალხზე პროექტებიდან გამომდინარე უარყოფითი გავლენის შექმნის დაგეგმვა და თავიდან აცილება;
- (ii) გარემოზე და დაზარალებულ ხალხზე პროექტებიდან გამომდინარე უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა, შერბილება ან/და კომპენსირება იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი გავლენის თავიდან აცილება შეუძლებელია; და
- (iii) მსესხებლებისთვის/კლიენტებისთვის დახმარების გაწევა საკუთარი სიფრთხილის ღონისძიებების სისტემების გაძლიერების თვალსაზრისით, და ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის შესაძლებლობის განვითარება.

13. ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმი განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, ფარგლებს და ინიციატივებს, ასევე პრინციპებს სიფრთხილის ღონისძიებების შემდეგ სამ ძირითად სფეროში: (i) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სიფრთხილის ღონისძიებები, (ii) არანებაყოფლობით

გადასახლებასთან დაკავშირებული სიფრთხილის ღონისძიებები, და (iii) მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული სიფრთხილის ღონისძიებები.

14. **გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სიფრთხილის ღონისძიებები.** გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სიფრთხილის ღონისძიებების მიზანია უზრუნველყოს გარემოს დაცვის სიმტკიცე და პროექტების მდგრადობა, ასევე ხელი შეუწყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებების პროექტის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტეგრაციას. ADB-ს მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი ნაჩვენებია მომზადების და კატეგორიზაციის საწყის ეტაპებზე პროექტიდან გამომდინარე გარემოზე პოტენციური ზემოქმედების მნიშვნელობის მიხედვით. პროექტები მიეკუთვნება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთერთს:

- (i) **კატეგორია „ა“** - თუ პროექტი სავარაუდოდ გარემოზე მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას, მაშინ საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA).
- (ii) **კატეგორია „ბ“** - „ა“ კატეგორიაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემთხვევაში, საჭიროა პირველადი ეკოლოგიური კვლევა (IEE ან შეზღუდული EIA).
- (iii) **კატეგორია „გ“** - სავარაუდოდ მინიმალური ან საერთოდ არანაირი უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედების შემთხვევაში, საჭირო არ არის EIA.

15. ADB-ს გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნა განსხვავდება საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების სისტემისგან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გარემოზე ზემოქმედების ნებართვა საჭიროა მხოლოდ გაცხადებულ საქმიანობაზე, ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმში ვრცელდება ყველა პროექტზე და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნა განსხვავდება პროექტის კატეგორიების მიხედვით, რაც დამოკიდებულია მოსალოდნელი ზემოქმედების ბუნებაზე და მასშტაბზე.

III. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

16. მაშინ, როდესაც ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების, ასევე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტების ამაღლების თვალსაზრისით მრავალი დადებითი სარგებელია მოსალოდნელი, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ქვეკონტრაქტებმა შესაძლოა ასევე გამოიწვიოს გარკვეული უარყოფითი ზეგავლენებიც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გარემოზე ზემოქმედების იდენტიფიკაცია და შეფასება, როგორც დადებითი და პროექტირების პროცესის ნაწილი, და ზომების მიღება აღნიშნული ზემოქმედებების დასაშვებ დონემდე შემცირების მიზნით. ეს განხორციელდება გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის საშუალებით, რაც წარმოადგენს ADB-ს საკრედიტო ოპერაციების და პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ნაწილს.

17. ADB-ს 2003 წლის გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელოს (EAG) მიხედვით, გარემოსდაცვითმა შეფასებამ უნდა დაადგინოს პროექტის ადგილმდებარეობის, პროექტირების, მშენებლობის და ოპერაციების შესრულების შედეგად გამოწვეული ზემოქმედებები. მშენებლობა და ოპერაციების შესრულება წარმოადგენს ორ აქტივობას, რომელთა შემთხვევაშიც პროექტი ფიზიკურად ურთიერთმოქმედებს გარემოსთან და აქედან გამომდინარე, ეს არის ორი ისეთი აქტივობა, რომლის დროსაც ხდება გარემოზე ზემოქმედება. მრავალ პროექტში არსებობს გარკვეულ შედეგები, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედება თავს იჩენს მშენებლობის ან ოპერაციების შესრულების ეტაპზე, ის უნდა ჩაითვალოს პროექტის ადგილმდებარეობის ან პროექტირების შედეგად გამოწვეულ ზემოქმედებად, რადგან ის არ წარმოიქმნებოდა ალტერნატიული ადგილმდებარეობის ან პროექტირების შერჩევა რომ მომხდარიყო. მაგალითად, თუ ნიადაგქვეშა წყლების რესურსი ამოიწურება ზედმეტი აბსტრაქციის შედეგად, ეს იქნება როგორც ადგილმდებარეობის, ისე პროექტირების შედეგად გამოწვეული ზემოქმედება, რადგან ნიადაგქვეშა წყლები არ უნდა დამშრალიყო თუ პროექტირება ითვალისწინებდა ზედაპირული წყლების გამოყენებას მარაგების შევსების მიზნით, და სპეციალური წყლოვანი ფენა არ შემცირდებოდა, საექსპლუატაციო ჭა სხვაგან რომ ყოფილიყო განთავსებული. იგივენაირად, თუ კანალიზაციის გამწმენდი სადგური (STP) გამოუშვებს ისეთ ჩამდინარ წყლებს, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ეს არის პროექტირების შედეგად გამოწვეული ზემოქმედება, რადგან ეს არ მოხდებოდა გაწმენდის უფრო მკაცრი ტექნოლოგია რომ მიეღოთ.

18. 1-ლი ტრანშის პროექტების გარემოსდაცვითი შეფასების გათვალისწინებით, სხვა მსგავსი პროექტების გაგების თვალსაზრისით და ADB-ს სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) საძიებელში მითითებული საკითხების ფართო სპექტრის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს პროექტის გარემოსდაცვით კატეგორიას, **ცხრილი 2** წარმოადგენს საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროექტების გარემოზე სავარაუდო ზემოქმედებას და ფართო შემარბილებელ ღონისძიებებს. წყლის წყაროს და კანალიზაციის გამწმენდი სადგურის განვითარების კომპონენტების გარდა, ზემოქმედების უმეტესობა

გამოწვეულია ურბანულ და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მრავალრიცხოვანი სამშენებლო სამუშაოებით. თითქმის ყველა საპროექტო ზემოქმედების შერბილება ზოგადად შესაძლებელია, თუ ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან ზემოქმედებებს კომპონენტების ეკოლოგიურად მგრძობიარე ტერიტორიებზე განთავსების შემთხვევაში. მაგალითად, თუ მილსადენის გაყვანა მოხდება ბუნებრივ ნაკრძალში, ეს გამოიწვევს ადგილმდებარეობის შედეგად სერიოზულ ზემოქმედებას. ეს არ მოხდებოდა მილსადენი არსებული გზის გასწვრივ რომ გაყვანილიყო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საინვესტიციო პროგრამა ითვალისწინებდეს ამგვარ ეკოლოგიურად მგრძობიარე ტერიტორიებზე შეჭრის თავიდან აცილებას.

19. საქართველო გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაპით შედარებით მცირე გეოგრაფიულ არეალში და ფლობს სხვადასხვა სახის ეკოლოგიურად მგრძობიარე რეგიონებს. მისი ტერიტორიის თითქმის 40% დაფარულია ტყეებით, თუმცა მისი ტყის ფართობის 97% განლაგებულია მთებში. არსებობს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონით გაცხადებული 39 დაცული ტერიტორია, რომელიც იკავებს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7%-ს (საიდანაც 75% ტყეებია). აღნიშნული დაცული ტერიტორიები მოიცავს: 14 მთლიან ნაკრძალს, 8 ეროვნულ პარკს, 12 მართულ ნაკრძალს, 14 ბუნებრივ ძეგლს და 2 დაცულ ლანდშაპს საქართველოში (იხილეთ **დანართი 1**).

ცხრილი 2: გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

მოსალოდნელი ზემოქმედება	ზოგადი შემარბილებელი ღონისძიებები
<p>წყალმომარაგება – პროექტირების და ოპერაციების შესრულების ეტაპი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ წყაროს წყლის დაბინძურება ზედა ბიეფში განხორციელებული ანთროპოგენური ქმედებებით და ნიადაგის ეროზიის ჩამონადენით ▪ გადამეტებულ/არამდგრადი ნიადაგქვეშა წყლების ექსტრაქციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება (მიწის დაწვევა, წყლის ხარისხის დეგრადაცია და სხვ.) ▪ თემების გადაადგილებით გამოწვეული სოციალური კონფლიქტები ▪ წყალმომარაგების მიზნით ერთიდაიგივე ზედაპირიდან/ნიადაგქვეშა ზედაპირიდან ნედლი წყლის აბსტრაქციით გამოწვეული სოციალური კონფლიქტები ▪ არადამაკმაყოფილებელი ნედლი წყლის მიწოდებით გამოწვეული ჯანმრთელობაზე ზემოქმედება ▪ წყალმიმღები ნაგებობის არაადეკვატურად დაცვით გამოწვეული წყაროს წყლის დაბინძურების რისკი ▪ მუშათა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენება ქლორთან შეხების გამო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკები ქლორის გაზის შემთხვევით გაუონვის შედეგად 	<ul style="list-style-type: none"> ▪ წყაროს სათანადოდ შერჩევა და განთავსება ▪ წყაროს დაცვის ღონისძიებები ▪ აბსტრაქცია უნდა მოხდეს სტაბილურ ფარგლებში ▪ ნიადაგქვეშა წყლების ტესტირება მდგრადი შედეგის მოპოვების მიზნით ▪ საუკეთესო ადგილმდებარეობის და პროექტის მიხედვით მიწის შექმნისგან თავის შეკავება ▪ წყაროების დაცვა ამგვარი კონფლიქტებისგან, და თუ ეს შეუძლებელია, დიალოგის წარმოება და პრობლემების მოგვარება ინვესტიციის განხორციელებამდე ▪ წყაროების დაცვა არადამაკმაყოფილებელი ნედლი წყლის მიწოდებისგან ან ადეკვატური გადასამუშავებელი დანადგარების უზრუნველყოფა ▪ შესაბამისი ადგილმდებარეობა წყაროს დაცვის ღონისძიებებთან ერთად ▪ აუცილებელი უსაფრთხოების ზომების გათვალისწინება პროექტში ▪ მუშების აღჭურვა პერსონალური დაცვის მოწყობილობებით
<p>საკანალიზაციო სისტემა – პროექტირების და ოპერაციების შესრულების ეტაპი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ისტორიული/კულტურული ძეგლების/ტერიტორიების დაზიანება და საკანალიზაციო მოწყობილობების განთავსებით გამოწვეული ზარალი/ზიანი ▪ საკანალიზაციო მოწყობილობების განთავსების გამო მეზობელი ტერიტორიების შეწუხება (ხმაურით, სუნით და მწერების მოზღვავეებით) ▪ მოსახლეობის გადაადგილებით ან არანებაყოფლობითი განსახლებით გამოწვეული სოციალური ზემოქმედება 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესაბამისი ადგილმდებარეობა ადეკვატური ბუფერის შენარჩუნებით ▪ პროექტირების და ოპერაციების შესაბამისი პრაქტიკები ▪ საუკეთესო ადგილმდებარეობის და პროექტის მიხედვით მიწის შექმნისგან თავის შეკავება

<p>მოსალოდნელი ზემოქმედება</p>	<p>ზოგადი შემარბილებელი ღონისძიებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ქვედა ბიევის წყლის ხარისხის გაუარესება საკანალიზაციო წყლების არაადეკვატური დამუშავების ან დაუმუშავებელი საკანალიზაციო წყლების გაშვების შედეგად ▪ მეზობელი ტერიტორიების ქონების დატბორვა და დაფარვა ნედლი ჩამდინარე წყლებით ▪ გარემოს დაბინძურება არაადეკვატური ნალექის გამოყოფის შედეგად ▪ საკანალიზაციო ოპერაციებში და ტექნოლოგიურებაში ჩართული მუშების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენება სახიფათო სამუშაო პირობების გამო 	<ul style="list-style-type: none"> ▪ საკანალიზაციო წყლების საქართველოს სტანდარტების შესაბამისად დამუშავებისთვის შესაბამისი პროექტირება და ტექნოლოგია ▪ შესაბამისი პროექტირება და ტექნოლოგიური მოწყობილობების უზრუნველყოფა ▪ ნალექის სათანადოდ დამუშავებისა და გატანის საშუალებები, როგორც მექანიზმის ნაწილი ▪ საკანალიზაციო წყლებში საშიში მასალების მოხვედრის თავიდან აცილება ▪ შესაბამისი ტექნოლოგიური და ინდივიდუალური დაცვის მოწყობილობებით მუშების აღჭურვა
<p>სამშენებლო ზემოქმედება (წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა)</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვა ტერიტორიების სამშენებლო მუშებს და საზოგადოებრივ მუშებს შორის სოციალური კონფლიქტები ▪ სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ხმაური და მტვერი ▪ ქალაქში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული გაზრდილი საგზაო მოძრაობა ▪ სამშენებლო ოპერაციებით გამოწვეული ნიადაგის ეროზიის/ლამის ჩამოშლის შეუჩერებელი პროცესი ▪ მიწის დამუშავების გამო გზების გადაკეცვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ადგილობრივი მოსახლეობის შექმნილი დაგვიანება დასაქმება ▪ საუკეთესო სამშენებლო გრაფიკი და პრაქტიკები ▪ სამშენებლო საქმიანობისთვის სატრანსპორტო გეგმის მომზადება ▪ წვიმიან სეზონზე მუშაობისგან თავის შეკავება და ლამის კონტროლის შესაბამისი ღონისძიებების გატარება ▪ დროებითი დაშვების უზრუნველყოფა, ტრანშეებზე ხის თამასების/ლითონის ფურცლების გადაფარვა; საზოგადოების წინასწარ ინფორმირება

IV. გარემოსდაცვითი შეფასება პროექტებისა და კომპონენტების თვალსაზრისით

ა. გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა

20. საინვესტიციო პროგრამის საფუძველზე ინვესტირების მიზნით მომზადებული ქვეპროექტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმს. თუ ქვეპროექტების შერჩევის და შემუშავების პროცესში ქვემოთ მე-3 ცხრილში მოცემული გარემოსდაცვითი კრიტერიუმები გათვალისწინებული იქნება, მათი უმეტესობა გარემოზე შედარებით უმნიშვნელო ზემოქმედებას მოახდენს, და ასეთ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა იქნება პირდაპირი და მოერგება 1-ლი ტრანშეს დროს აღიარებულ მიდგომას. ქვემოთ აღწერილია თითოეული პროცესის ძირითადი ეტაპები.

21. **გარემოსდაცვითი კრიტერიუმები ქვეპროექტის/კომპონენტის შერჩევითვის.** უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება (მგრძობიარე ადგილის შერჩევით, პროექტის ტოპოგრაფიული ელემენტების შესწორებით და სხვ.) წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების ძირითად ასპექტს, რადგან ეს იცავს გარემოს და ზოგადად პროექტის მნიშვნელოვან დროს, ძალისხმევას და ხარჯებს რთული და ხარჯიანი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების საჭიროების თავიდან აცილების გზით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ გარემოზე ზემოქმედების ფაქტორი გათვალისწინებულია პროექტების/ქვეპროექტების შემუშავების დროს, ყველაზე ადრეულ ეტაპებზე, და რომ გადაწყვეტილების მიღება ხდება გარემოსდაცვითი კრიტერიუმების, ასევე განხორციელებადობის და ხარჯების საფუძველზე. ჩამოყალიბდა შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები ან კრიტერიუმები, და ქვეპროექტების შერჩევისა და შემუშავების დროს მათი გათვალისწინების შემთხვევაში, ამ ქვეპროექტებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება შემცირდება. ყოველივე ეს წარმოდგენილია ქვემოთ მე-3 ცხრილში.

ცხრილი 2: გარემოსდაცვითი კრიტერიუმები პროექტის შერჩევითვის

ა. გამორიცხვის კრიტერიუმები
<p><i>ა1. ყველა პროექტი</i></p> <p>შემდეგი პროექტები ჰყრის განხორციელებას საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროექტები, რომლებიც სავარაუდოდ დაარღვევს (არ დააკმაყოფილებს) ზოგადად ეროვნულ კანონმდებლობას და კერძოდ გარემოსდაცვით კანონმდებლობებს, მათ შორის გარემოსდაცვით ნორმებს, სახელმძღვანელო მითითებებს, სტანდარტებს და ა.შ. პროექტის მიმდინარეობის დროს (პროექტირების, მშენებლობის და ოპერაციების შესრულების ეტაპებზე) • პროექტები, რომლებიც განთავსებულია გაცხადებულ დაცულ ტერიტორიებზე

(მთლიანად ნაკრძალები, ეროვნული პარკები, მართული ნაკრძალები, ბუნებრივი ძეგლები და დაცული ლანდშაპტები)

- პროექტები, რომლებიც იწვევს ან სავარაუდოდ გამოიწვევს დაცული ძეგლების დაზიანებას/დაკარგვას
- ისეთი შეუქცევადი ზემოქმედების გამომწვევი პროექტები, რომლის შემცირება მისაღებ დონემდე შეუძლებელია
- პროექტები, რითაც გათვალისწინებულია წყლის აბსტრაქცია/ჩამდინარე წყლების ჩაღებვა იმ წყალსატევებში/მდინარეებში, რომელიც საერთაშორისო დავის საგანს წარმოადგენს

ბ. თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის კრიტერიუმები

ბ1. ყველა პროექტი

შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები და შერჩევის კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს პროექტების განხორციელების დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული/მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სავარაუდო ზემოქმედებები:

- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ყიდვის და არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება სახელმწიფო მიწის გამოყენებით ან/და ადგილის პროექტირებისა და შერჩევის დროს ყველა შესაძლო ზომის მიღებით..
 - თუ ზემოაღნიშნული გარდაუვალია, მიწის მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა ალტერნატიული პროექტის ან ტექნოლოგიის გამოყენებით, ან ნაკლებად დაზარალებული პირებით დასახლებული ადგილის შერჩევით, სადაც უარყოფითი ზემოქმედება ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება.
- ხეების მოჭრის თავიდან აცილება შესაბამისი ადგილის შერჩევით და ადგილის საუკეთესო გეგმის შედგენით;
 - თუ ზემოაღნიშნული გარდაუვალია, ნაკლები ხეებით დაფარული ადგილის შერჩევა, ზრდასრული ხეების გარეშე.
- ისტორიული მნიშვნელობის ადგილების სიახლოვეს პროექტის განთავსების შემთხვევაში კონსულტაციების გამართვა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა პროექტი განთავსდეს იქ, სადაც ნაკლები რისკებია.

ბ. თავიდან აცილების/მინიმუმამდე დაყვანის კრიტერიუმები

ბ2. წყალმომარაგების პროექტი

შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები/კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს წყალმომარაგების პროექტების განხორციელების დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული/მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სავარაუდო ზემოქმედებები:

- წელის აბსტრაქცია უნდა განხორციელდეს წყაროს სტაბილურ ფარგლებში
 - ზედაპირული წყლების ექსტრაქციის შემთხვევაში, საჭიროა ქვედა ბიეფში მინიმალური დინების უზრუნველყოფა (მოლიანი დინების 33% + ქვედა ბიეფის გამოყენება)
 - ნიადაგქვეშა წყლების შემთხვევაში, აბსტრაქცია უნდა შემოიფარგლოს შევსების ღონეებით
- არაკონკურენტული გამოყენება – შეარჩიეთ წყაროები არაკონკურენტული გამოყენებით
- წყაროს წელის ხარისხი უნდა იყოს კარგი ან/და ჩვეულებრივი დამუშავებით ადვილად დამუშავებადი, თავი შეიკავეთ ისეთი წყაროს გამოყენებისგან, რომელიც საჭიროებს კომპლექსური/ძვირი საშუალებებით დამუშავებას
 - არ უნდა არსებობდეს პრობლემატური ჩამდინარე წყლების ჩადინების პუნქტები წყაროს ზედა ბიეფში (მინიმალური მანძილის დადგენა შესაძლებელია საველე კვლევების საფუძველზე)
 - წყაროს წელის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სასმელად გამოყენების კატეგორიას, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს (MoLHSW) 2001 წლის „ზედაპირული წყლების დაბინძურებისგან დაცვის წესების“ (ბრძანება №297/6) შესახებამისად (**დანართი 2**)
 - პროექტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებისთვის მიწოდებული წყალი ნებისმიერ დროს აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის სტანდარტებს, MoLHSW–ის 2007 წლის „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ შესახებამისად (ბრძანება №349/6) (**დანართი 3**)
- მიწები უნდა განთავსდეს ხაზოვან კონსტრუქციებთან (გზები, სარწყავი არხები) გავლის უფლების (ROW) ფარგლებში, მიწის შესყიდვების შემცირების, ასევე მუშაობის და ტექნომსახურების გაადვილების მიზნით;
- პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სატუმბო სადგურების ხმაურით გამოწვეული უსიამოვნების თავიდან აცილებას, მათი შესაბამისად განლაგების და ბუფერული ტერიტორიების არსებობის გზით;
- წელის გამწმენდი სადგურის განთავსება იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს დატბორვის ან სხვა საფრთხის ისეთი რისკები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სადგურის ფუნქციონირების შეფერხება ან რაც ქმნის სადგურის ან მისი შემოგარენის დაზიანების რისკს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ წყალმომარაგების სისტემაში რეგულირება კომბინირებული იყოს საკანალიზაციო სისტემაში რეგულირებასთან და შესაძლებელი გახდეს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაზრდილი რაოდენობით ჩადინება.

შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები/კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს საკანალიზაციო სისტემის პროექტების განხორციელების დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული/მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სავარაუდო ზემოქმედებები:

- კანალიზაციის გამწმენდი სადგურების (STP) განთავსება:
 - დასახლებული ტერიტორიიდან მინიმუმ 500 მეტრზე; სამომავლო ურბანული გაფართოების გათვალისწინებით სულ ცოტა 20 წელზე გაანგარიშებით ისე, რომ ხალხი არ დაზარალდეს სადგურიდან გამოსული სუნით ან სხვა შემავსებელი ფაქტორით;
 - ნებისმიერი კულტურული რესურსიდან/მნიშვნელოვანი ტურისტული ზონიდან მინიმუმ 500 მეტრზე;
 - ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს დამუშავებული წყლების ჩადინების შესაბამისი შესაძლებლობა (მაგ.: ბუნებრივი წყლის ნაკადში) და სადაც ამგვარი ჩადინება საფრთხე არ შეუქმნის ქვედა ბიეფის მომხმარებლებს (მაგ.: მდინარე, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო ან მუნიციპალური წყალმომარაგების წყაროს სახით);
 - ისეთ ადგილებში, სადაც არ არსებობს დატბორვის რისკი ან სხვა საფრთხე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სადგურის ფუნქციონირების შეფერხება ან რაც ქმნის სადგურის ან მისი შემოგარენის დაზიანების რისკს.
- პროექტის დიზაინმა უნდა უზრუნველყოს, რომ საკანალიზაციო წყლების დამუშავება ნებისმიერ დროს ხორციელდებოდეს ჩამდინარე წყლების ჩადინების სტანდარტების დაცვით, MoEPNR–ს 2008 წლის „გარემოს დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად (ბრძანება №745) (დანართი 4) და ეს შესაბამისობა გაკონტროლდეს ოპერაციების განხორციელების ეტაპზე STP–დან ჩამდინარე წყლების რეგულარული მონიტორინგის საშუალებით;
- პროექტი უნდა მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც უზრუნველყოფს საკანალიზაციო ნალექის უსაფრთხო ჩადინებას, გარემოსთვის რაიმე საფრთხის შექმნის გარეშე.

22. **ეკრანირება და კლასიფიკაცია.** განმახორციელებელი სააგენტო უზრუნველყოფს ყველა პოტენციური ქვეპროექტის ეკრანირებას ADB–ს მიერ მიწოდებული REA საკონტროლო სიების საშუალებით (იხილეთ დანართი 5); და ეკრანირების საფუძველზე მოახდენს პროექტების კლასიფიკაციას ADB–ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმში წარმოდგენილი კატეგორიზაციის შესაბამისად, როგორც ქვემოთ დეტალურადაა განსაზღვრული:

კატეგორია „ა“: პროექტები, რომლებიც სავარაუდოდ მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენენ გარემოზე, რაც შესაძლოა იყოს შეუქცევადი, მრავალფეროვანი და უპრეცედენტო, და რამაც შესაძლოა დააზიანოს პროექტის ადგილმდებარეობაზე უფრო

ფართო ტერიტორია ფიზიკური სამუშაოების შედეგად. აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA).

კატეგორია „ბ“: პროექტები გარემოზე ისეთი მავნე ზემოქმედებით, რომელიც „ა“ კატეგორიის პროექტებით გამოწვეულ ზემოქმედებაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, ადგილისთვის დამახასიათებელია, ზოგადად შეუქცევადი არ არის, და უმეტეს შემთხვევაში, მათი შემცირება უფრო ადვილად შესაძლებელია, ვიდრე „ა“ კატეგორიის პროექტების შემთხვევაშია. აუცილებელია პირველადი ეკოლოგიური კვლევა (IEE).

კატეგორია „გ“: პროექტები გარემოზე მინიმალური ან არანაირი მავნე ზემოქმედებით. არ არის აუცილებელი გარემოსდაცვითი შეფასება, თუმცა ეკოლოგიურ შედეგებზე სათანადოდ რეაგირება განიხილება.

23. თუ ქვეპროექტების შერჩევისა და შემუშავების დროს **მე-3 ცხრილში** ნახვენები კრიტერიუმები მიიღება მხედველობაში, ქვეპროექტების უმეტესობის კლასიფიცირება მოხდება „ბ“ კატეგორიად. **ტრანში 1 მიეკუთვნა “ბ” კატეგორიას, თუმცა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შემდგომ ტრანშებში “ა” კატეგორიის პროექტები შევიდეს.**

ბ. პირველადი ეკოლოგიური კვლევების (IEE) მომზადება

24. „ბ“ კატეგორიის პროექტებისთვის IEE მომზადდება ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის შესაბამისად. IEE მიიჩნევა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ნაწილად და გარემოსდაცვითი შეფასების გუნდი მჭიდროდ ითანამშრომლებს ტექნიკური დაგეგმვისა და პროექტირების ჯგუფთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარემოსდაცვითი მოსაზრებები ინტეგრირებულ იქნას პროექტის დიზაინში. EIA ან/და IEE ანგარიშის მოკლე მონახაზი წარმოდგენილია **მე-6 დანართში**.

25. IEE კვლევა ეხება იგივე საკითხებს, რომელსაც განიხილავს EIA (იხილეთ ქვემოთ), მაგრამ უფრო ვიწრო მასშტაბებს მოიცავს და საკითხები განიხილება ნაკლებად დეტალურად. IEE დეტალურად ამოწმებს პროექტის გარემოზე ნეგატიურ და პოზიტიურ ზემოქმედებებს და რეკომენდაციას უწევს იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარება აუცილებელია მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან კომპენსირების, ასევე გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვინაიდან, შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენება შედარებით მარტივია, IEE შესაძლოა არ ითვალისწინებდეს პროექტის ალტერნატივების ისეთ კომპლექსურ ანალიზს ან ისეთ დეტალურ გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (EMP), როგორც EIA, და შესაძლოა მოიცავდეს ნაკლები მასშტაბის საზოგადოებასთან კონსულტაციებს. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ პირების კონსულტირება მოხდება სულ ცოტა ერთხელ (როდესაც IEE ანგარიშის საბოლოო ვერსია შეიქმნება), რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში შეძლებენ პროექტში ჩართვას

ადრეულ ეტაპზე, როგორც ამას EA ან/და ADB განსაზღვრავს. 1-ლი ტრანშის ქვეპროექტებისთვის ADB PPTA 7487-GEO საშუალებით მომზადებული IEE ანგარიშები გამოიყენება როგორც სანიმუშო ანგარიშები, რომელთა შემდგომი ტირაჟირება შესაძლებელია სამომავლო პროექტებისთვის.

ბ. გარემოზე ზემოქმედების შეფასებების (EIA) მომზადება

26. „ა“ კატეგორიის პროექტებისთვის EIA განხორციელება თითოეული პროექტის შემთხვევაში, ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის მოთხოვნების შესაბამისად. EIA განხორციელება ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთებისას; შეფასება შესრულება და მისი შედეგები განიხილება დეტალური პროექტირების დროს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება, მეტი ინფორმაციის მოპოვების შედეგად პროექტში რაიმე ცვლილებების ასახვის ან ინტერპრეტაციების გადახედვის მიზნით.

27. EIA დეტალურად ამოწმებს პროექტის გარემოზე ნეგატიურ და პოზიტიურ ზემოქმედებებს, ადარებს მათ შესაძლო ალტერნატივებს (მათ შორის „პროექტის ფარგლებს მიღმა“ სიტუაციას), და რეკომენდაციას უწევს იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარება აუცილებელია მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან კომპენსირების, ასევე გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. EIA არის უფრო კომპლექსური და დეტალური კვლევა ვიდრე IEE და რადგან შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენება ზოგადად უფრო რთულია, EIA ყოველთვის უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (EMP), სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი თუ როგორ ხდება თითოეული შემარბილებელი ღონისძიების გამოყენება და მონიტორინგი. EIA ითვალისწინებს კონსულტაციების უფრო მაღალ ხარისხს, რადგან დაინტერესებული პირები საწის ეტაპზე არიან ჩართულნი კვლევის მასშტაბის გადაწყვეტაში; EIA ასევე ითვალისწინებს მისი შედეგების და შემარბილებელი ღონისძიებების ბუნების განსაზღვრას ანგარიშის დამუშავების საბოლოო ეტაპზე. ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის შესაბამისად შედგენილი EIA ანგარიშის შინაარსი და ფორმატი წარმოდგენილია მე-6 დანართში.

დ. იმ პროექტებთან დაკავშირებული პროცედურა, რომელიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას (EIP)

28. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინვესტიციო პროგრამის საფუძველზე განხორციელებული ზოგიერთი პროექტი სცდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის ფარგლებს და საჭიროებს EIA კვლევას და ანგარიშს MoEPNR-დან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით. პრაქტიკაში UWSCG-მ (განმახორციელებელი სააგენტო) უნდა გააერთიანოს ADB-ს და MoEPNR-ს ორივე პროცესი და მიზნად დაისახოს ერთი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ორივე მიზანს მოემსახურება, ორმაგი მცდელობის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო ამის მიღწევა შესაძლებელია ADB-ს მოთხოვნების მრავალმხრივი ბუნების გათვალისწინებით.

V. კონსულტაციები, ინფორმაციის მიწოდება და საჩივრების განხილვა

ა. კონსულტაციები და ინფორმაციის მიწოდება

29. ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის ერთერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს მრავალმნიშვნელოვანი კონსულტაციების წარმოება დაზარალებულ პირებთან და მათი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშეწყობა. დოკუმენტი მრავალმნიშვნელოვან კონსულტაციას განმარტავს, როგორც „პროცესს, რომელიც (i) იწყება პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე და ხორციელდება მთელი პროექტის მიმდინარეობის დროს; (ii) უზრუნველყოფს დაზარალებული ხალხისთვის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის დროულად მიწოდებას; (iii) ხორციელდება დაშინებისგან ან ძალდატანებისგან თავისუფალ გარემოში; (iv) გენდერული თვალსაზრისით შეუზღუდავი და რეაგირებადია, და მორგებულია დაუცველ და უმწეო ჯგუფებზე; და (v) საშუალებას აძლევს ყველა დაზარალებულ ადამიანს და სხვა დაინტერესებულ პირებს ჩაერთონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორცაა პროექტის ჩარჩო ვერსია, შემარბილებელი ღონისძიებები, განვითარების სარგებლიანობისა და შესაძლებლობების გაზიარება, ასევე პროექტის განხორციელების საკითხები.” კონსულტაცია წარიმართება:

- (i) „ა“ კატეგორიის პროექტების შემთხვევაში, მინიმუმ ორ ეტაპად: (i) EIA-ს საველე სამუშაოების ადრეულ ეტაპზე, EIA-ს მასშტაბის განსაზღვრაში დაინტერესებული პირების ჩართვის და მათი მხრიდან კონკრეტულ ადგილობრივ პრობლემებზე ნებისმიერი საკითხის წამოჭრის მიზნით, და (ii) როდესაც EIA-ს საბოლოო ანგარიში ხელმისაწვდომი გახდება პროექტის მომზადების დროს და ADB-ს მიერ პროექტის შეფასებამდე. ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომელიც სავარაუდოდ გამოიწვევს მნიშვნელოვან მავნე გავლენას, კონსულტაციებში ჩაერთობა ADB პროექტის გუნდი.

- (ii) „ბ“ კატეგორიის პროექტების შემთხვევაში, სულ ცოტა ერთი კონსულტაცია ჩატარდება მაშინ, როდესაც IEE-ს ჩარჩო ვერსია მომზადდება იმ მიზნით, რომ დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია მიეწოდოთ პროექტის, მისი პოტენციური ზემოქმედებების და სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

30. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია, გაიმართება დამატებითი კონსულტაციები (კონკრეტულ ჯგუფებთან ან ფიზიკურ პირებთან, ან დაინტერესებული მხარის ყველა წარმომადგენელთან). კონსულტაციის პროცესი და მისი შედეგები დოკუმენტურად დასაბუთდება გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში, სადაც მითითებული იქნება თუ როგორ მოხდება დაინტერესებული პირების შესაბამისი კომენტარების გათვალისწინება პროექტის დიზაინში, ხოლო ნებისმიერი გაუთვალისწინებელი კომენტარის შესახებ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დასაბუთება.

31. შესაბამისი საპროექტო დოკუმენტები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ADB-ს მოთხოვნების საფუძველზე:

- (i) „ა“ კატეგორიის პროექტების შემთხვევაში, EIA-ს ჩარჩო ვერსია (ასევე EMP-ს ჩარჩო ვერსია) გამოქვეყნდება ADB-ის, UWSCG-ის და MRDI-ის ვებ-გვერდებზე, ხოლო ბეჭდვითი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება ზემოაღნიშნულ ადგილმდებარეობებზე და პროექტის გვერდზე, ADB-ის საბჭოს მიერ სესხის განხილვამდე სულ ცოტა 120 დღით ადრე. აღნიშნულ დოკუმენტებს შეცვლის EIA-ს საბოლოო ვერსია, როდესაც დასრულდება, და ახალი ან განახლებული EIA ანგარიშები, თუ მომზადდება პროექტში პროექტირების ან განხორციელების დროს მნიშვნელოვანი ცვლილებების ასახვის მიზნით.

- (ii) „ბ“ კატეგორიის პროექტების შემთხვევაში, საბოლოო IEE ანგარიში გამოქვეყნდება UWSCG-ის, MoRDI-ის და ADB-ის ვებ-გვერდებზე, ხოლო ბეჭდვითი ვერსიები საკონსულტაციოდ ხელმისაწვდომი იქნება UWSCG-ის ოფისებში (თბილისის სათაო ოფისში და შესაბამის სერვის ცენტრში), MoRDI-ს ოფისში და საჯარო ბიბლიოთეკაში, ასევე შესაბამისი საპროექტო ქალაქის მუნიციპალიტეტში.

32. გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები (პროექტის განხორციელების დროს მომზადებული, იხილეთ ქვემოთ) ასევე სათანადო წესით დაემატება. ადგილობრივად ყველა დოკუმენტის წარმოდგენა მოხდება ქართულ ენაზე.

33. UWSCG იღებს სრულ პასუხისმგებლობას პროექტის განხორციელებაზე და ეკოლოგიურ შესაბამისობაზე. გარემოს დაცვაზე პასუხს აგებენ ადმინისტრაციული ორგანოები, კერძოდ, MoEPNR და შესაბამისი მუნიციპალიტეტი. დაინტერესებული პირები (კერძოდ, პროექტით უშუალოდ დაზარალებული პირები) ყველა ძალისხმევას გამოიყენებენ უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, მე-3 ცხრილში მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე მგრძობიარე ადგილის შერჩევით,

ეფექტური კონსულტაციებით და ზემოთ განსახდერული ინფორმაციის მიწოდებით, ასევე დაინტერესებული პირის პრომლეგებზე დაუყოვნებელი და შესაბამისი რეაგირებით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კვლავ წამოჭრან პრობლემური საკითხები და საჩივრები პროექტის გარემოსდაცვით შესულებასთან დაკავშირებით.

34. როდესაც სამუშაოები სრულდება ურბანულ ტერიტორიაზე, ზემოქმედებების უმეტესობა გამომდინარეობს მშენებლობიდან. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმის არასათანადო ან არაადეკვატურმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მშენებლობის დროს ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება და უხერხულობა. აღნიშნული საკითხები განიხილება მომდევნო ნაწილში სათაურით „საჩივრების განხილვის მექანიზმი“.


ბ. საჩივრების განხილვის მექანიზმი

35. დაზარალებულ მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ UWSCG-ს ან უშუალოდ გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოებს გაუგზავნონ პროექტით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედებასთან და დამაბრკოლებელ ფაქტორებთან დაკავშირებული საჩივრები. MoEPNR და შესაბამისი მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ მოსახლეობისგან ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

36. UWSCG თავის მხრივ, დაზარალებულ და დაინტერესებულ მოქალაქეებთან უშუალო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს პროექტის ხელმძღვანელებთან მიმართვა, ასევე მოქალაქეთა საჩივრების რეგისტრაცია და განხილვა შესაბამის დროში, შექმნის საჩივრების განხილვის მექანიზმს. თითოეული საინვესტიციო პროგრამის ქალაქისთვის UWSCG-ს სერვის ცენტრში დაფუძნდება საჩივრების განყოფილება და საჩივრების განხილვის კომიტეტი, რომელიც იფუნქციონირებს მთელი მშენებლობის პერიოდში. საჩივრების განხილვის დროს მიღებულ პროცედურებზე და პროექტის სხვადასხვა სააგენტოების პასუხისმგებლობებზე ჩვენ ვისაუბრებთ მომდევნო პარაგრაფში. საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში UWSCG (განმახორციელებელი სააგენტო) დაინტერესებულ პირებს შეატყობინებს საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ და მიაწვდის საჩივრების მიღებასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო დეტალებს. აღნიშნული დეტალები ასევე ხელმისაწვდომი იქნება UWSCG-ს ვებ-გვერდზე.

37. საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული ქალაქის UWSCG-ის სერვის ცენტრში არსებული საჩივრების განყოფილება მიიღებს გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ სარჩელებს შესაბამის ქალაქში ქვეპროექტების განხორციელების დროს. საჩივრების განხილვის ოთხ-ეტაპიანი მექანიზმი მითითებულია ქვემოთ მე-2 ნახაზზე. მიღებული საჩივრები და განხორციელებული ზომები შევა ADB-სთვის მიწოდებულ ეკოლოგიური მონიტორინგის ანგარიშში.

ნახაზი 1: საჩივრების განხილვის მექანიზმი



- (i) საჩივრების განყოფილების მიერ მიღებული საჩივრები (წერილობითი თუ ზეპირი) დარეგისტრირდება მონაცემთა ბაზის სისტემაში, ნომრის მინიჭებით და მიღების თარიღის მითითებით; საჩივრების განყოფილება მომხივანს აცნობებს იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც გამასწორებელი ქმედება განხორციელდება.
- (ii) საჩივრების განყოფილება და UWSCG–ს საინვესტიციო პროგრამის მართვის სამსახური (IPMO) შეისწავლის საჩივარს და განსაზღვრავს მის ქმედითობას, შემდეგ შეაფასებს რამდენად ეკუთვნის პრობლემის წყარო ქვეპროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას; თუ საჩივარი ქმედითი არ არის, საჩივრების განყოფილება მომხივანს შეატყობინებს აღნიშნულის შესახებ და სავარაუდოდ ურჩევს თუ რომელ შესაბამის ორგანოში უნდა წარადგინოს საჩივარი.
- (iii) თუ საჩივარი ქმედითია, საჩივრების განყოფილება გადაამოწმებს ქვეპროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (EMP) იმის გასარკვევად, მოხდა თუ არა აღნიშნული საკითხის იდენტიფიკაცია და შემარბილებელი ღონისძიებების შეთავაზება; თუ ეს ასეა, საჩივრების განყოფილება სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორს დაავალებს დაუყოვნებელი ზომების მიღებას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესაბამისად.
- (iv) თუ ეს მოსალოდნელი საკითხია, UWSCG IPMO უზრუნველყოფს შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიკაციას და სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას და გამასწორებელი ქმედების განხორციელებას, ასევე გამასწორებელი სამოქმედო გეგმის (CAP) მომზადებას.

- (v) საჩივრების განყოფილება განიხილავს სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორის გამასწორებელ ქმედებასთან დაკავშირებულ პასუხს და მომჩივანს შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის ორი კვირის განმავლობაში.
- (vi) თუ მომჩივანი უკმაყოფილებას გამოთქვამს კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ორი კვირის განმავლობაში, საჩივარი განსხილველად გაეგზავნება UWSCG-ს ხარისხის მართვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტს (DQMEP).
- (vii) DQMEP განიხილავს საკითხს IPMO-სთან და შესაბამის სერვის ცენტრთან ერთად, შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან ადგილზე ვიზიტის განხორციელება, ხოლო IPMO-ს და შესაბამისი სერვის ცენტრს შეატყობინებს საკითხის გადასაწყვეტად მიღებულ ზომებს.
- (viii) სერვის ცენტრი DQMEP-ს ერთ კვირაში წარუდგენს შუალედურ ანგარიშს გამოძიების მიმდინარეობის და შემდგომი მოქმედებების შესახებ, ხოლო საბოლოო ანგარიშს - საქმიანობის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში. DQMEP მომჩივანს შეატყობინებს ყოველივე აღნიშნულის შესახებ.
- (ix) თუ მომჩივანი კვლავ უკმაყოფილოა განხორციელებული ზომებით ან მიღებული გადაწყვეტილებით, მას შეუძლია მიმართოს ქალაქში დაფუძნებულ საჩივრების განხილვის კომიტეტს (GRC, იხილეთ ქვემოთ).

38. **საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRC).** GRC დაფუძნდება მე-2 ეტაპზე გადაწყვეტილებას დაუქვემდებარებელი საკითხების გადაჭრის მიზნით და იფუნქციონირებს მთელი მშენებლობის პერიოდში, რომელიც საჩივრებს განიხილავს საჭიროების შესაბამისად. GRC-ს ეყოლება შემდეგი წევრები:

- თავმჯდომარე, შესაბამისი მუნიციპალიტეტი ან თავმჯდომარის მიერ დასახელებული არჩეული წევრი
- UWSCG-ს სერვის ცენტრის ხელმძღვანელი
- IPMO-ს წევრი

39. შესაძლო ზემოქმედებების გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის რომელიმე საკითხის გადაუჭრელად დატოვება პროცესის მე-3 ეტაპზე. მე-3 ეტაპის შემდეგ უკმაყოფილების მოულოდნელ შემთხვევაში, მომჩივანს შეუძლია საჩივრით მიმართოს ADB-ს. ADB-ს ადგილზე აქვს ანგარიშვალდებულების მექანიზმს დაქვემდებარებული სისტემა, სადაც ADB-ს მიერ ხელშეწყობილი პროექტებით დაზარალებულ პირებს შეუძლიათ გამოხატონ უკმაყოფილება და მოიპოვონ პრობლემების დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა. დაზარალებულ პირს შეუძლია

საჩივარი წარადგინოს (ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან პირადად მიტანით):

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისში (OSPF) მისამართზე: ADB, 6 ADB Avenue, Mandaluyong City, 0401 Metro Manila, ფილიპინები

ტელ: (63-2) 632-4825; ფაქსი: (63-2) 636-2490; ელ-ფოსტა: spf@adb.org

ან

საქართველოს ადგილობრივ წარმომადგენლობაში, რომელიც გაგზავნის მას OSPF-ში.

40. OSPF-დან არადამაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში, მომხივანს შეუძლია მიმართოს შესაბამისობის განხილვის ექსპერტთა ჯგუფის ოფისს (OCR) ADB-ს სათაო ოფისში.

V. ინსტიტუციონალური საკითხები და პასუხისმგებლობები

ა. პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები

41. საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი სააგენტოები:

- (i) რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MoRDI) არის აღმსრულებელი სააგენტო (EA), რომელიც პასუხისმგებელია სესხით დაფინანსებული ყველა საქმიანობის მართვაზე, კოორდინაციაზე და შესრულებაზე. MoRDI იღებს საერთო პასუხისმგებლობას სესხის შესახებ შეთანხმებებთან შესაბამისობაზე.
- (ii) საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) არის განმახორციელებელი სააგენტო (IA), რომელიც პასუხისმგებელია სესხით გათვალისწინებული აქტივობების მართვაზე, განხორციელებაზე (პროექტირება, მშენებლობა და ოპერაციების შესრულება) და ყველა სხვა ყოველდღიურ საქმიანობაზე. UWSCG-ის ფარგლებში დაფუძნდება საინვესტიციო პროექტების მართვის სამსახური (IPMO) საინვესტიციო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა ფუნქციის შესასრულებლად. IPMO შეათანხმებს ქვეპროექტების მშენებლობას ყველა ქალაქში, და უზრუნველყოფს მიდგომის თანმიმდევრულობას და შესრულებას.
- (iii) IPMO-ს დახმარებას გაუწევს (ა) მართვის კონტრაქტორი (MC), რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროგრამის მართვის მხარდაჭერას, პროექტის ნახაზის და მშენებლობის ტექნიკურ ხარისხს, და პოლიტიკის რეფორმების შესახებ კონსულტაციას, (ბ) დეტალური ტექნიკური პროექტის კონსულტანტები (DC), რომლებიც დააპროექტებენ ინფრასტრუქტურას და წარმართავენ სატენდერო პროცესს, და (გ) ზედამხედველობის კონსულტანტი

(SC), რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი აშენებს ინფრასტრუქტურას.

(iv) ADB არის საინვესტიციო პროგრამის დამფინანსებელი დონორი.

42. UWSCG პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის შესაბამისად საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაზე დაგეგმვის, პროექტირების და განხორციელების ყველა ეტაპზე. კონკრეტულად, UWSCG-ს ხარისხის მართვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს გარემოსდაცვითი სპეციალისტი, პასუხისმგებელი იქნება EARF-ს განხორციელებაზე (DQMEP-ს სტრუქტურული სქემა წარმოდგენილია მე-7 დანართში). EARF-ს შესაბამისად შესასრულებელი კონკრეტული ამოცანები მოიცავს:

- (i) პროექტის შერჩევას გარემოსდაცვითი ქვეპროექტის შერჩევის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად;
- (ii) პროექტის კატეგორიზაციას REA-ს საკონტროლო სიების გამოყენებით, ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის შესაბამისად;
- (iii) გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისი დონის განხორციელება (პირველადი ეკოლოგიური კვლევისთვის ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის, გარემოებისდა მიხედვით), მათ შორის საზოგადოებასთან კონსულტაციების წარმოება და ინფორმაციის მიწოდება, ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმის შესაბამისად;
- (iv) MoEPNR-დან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება 2008 წლის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროექტებისთვის;
- (v) ნებართვების მოპოვება სხვა მარეგულირებელი ორგანოებიდან (MESD და MoEPNR-ს სატყეო განყოფილება და ა.შ.) საჭიროების მიხედვით.
- (vi) პირველადი ეკოლოგიური კვლევის (IEE) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშების განხილვა და დამტკიცება ADB-სთან თანამშრომლობით;
- (vii) გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელება, მათ შორის შესაბამისი რეაგირების მოხდენა ნებისმიერ მოულოდნელ ზემოქმედებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას, ასევე საჩივრების განხილვა;
- (viii) მონიტორინგის გეგმის განხორციელება;
- (ix) EARF-ს განხილვა და განახლება;

- (x) ADB-ს წინაშე მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული ანგარიშის ჩაბარება და კოორდინაციის უზრუნველყოფა ADB-ს ცენტრალურ და დასავლეთ აზიის განყოფილებასთან (CWRD).

43. იმ პროექტების შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) კვლევას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას MoEPNR-დან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის (2008წ.) საფუძველზე, საჭიროა ADB-ს და MoEPNR-ს დამოწმების პროცესების უზრუნველყოფა. დეტალური ტექნიკური პროექტის კონსულტანტების (DC) მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშები, DQMEP-ს მიერ განხილვის შემდეგ, გადაეცემა MoEPNR-ს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით. MoEPNR და მისი რეგიონული ოფისები (საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) პასუხისმგებელია EIA დოკუმენტების და გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ განცხადებების განხილვაზე და ისეთი პროექტებისთვის ნებართვების გაცემაზე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შესაბამის მოთხოვნას. MoEPNR-ს მიერ დაწესებულ პირობებს, როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ნაწილი (თუ ასეთი არსებობს), DC შეიტანს გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (EIA) და გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში (EMP), ხოლო განხილული ანგარიში გადაეცემა DQMEP-ს, რომელიც თავის მხრივ დაამტკიცებს ანგარიშს და გადასცემს ADB-ს. MoEPNR ასევე მონაწილეობას მიიღებს UWSCG-ს მიერ პროექტის განხორციელების დროს ჩატარებულ გარემოსდაცვით მონიტორინგში, ნებართვით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

44. ისეთ პროექტების შემთხვევაში, რომლებიც არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას MoEPNR-დან, DQMEP განიხილავს და დაამტკიცებს DC-სთვის წარდგენილ EIA/EIA ანგარიშებს და შემდეგ გადასცემს ADB-ს დასამტკიცებლად. გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესრულების დროს DQMEP განახორციელებს მონიტორინგს ADB პროცედურების შესაბამისად. მე-8 დანართში მოცემულია გარემოს დაცვის შესაბამისობის პროცესის დიაგრამა.

45. CWRD-ს საშუალებით ADB პასუხისმგებელი იქნება შემდეგზე:

- (i) თითოეული პროექტის ეკრანირება და კატეგორიზაცია UWSCG-ს მიერ მომზადებული REA საკონტროლო სიების გამოყენებით;
- (ii) კონსულტაციების გაცემა ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმთან დაკავშირებით;
- (iii) „ა“ კატეგორიის პროექტებისთვის ყველა EIA ანგარიშის, ხოლო „ბ“ კატეგორიის პროექტებისთვის IEE ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

- (iv) გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესრულების კონტროლის მიზნით, მონიტორინგის, ზედამხედველობის და განხილვის წარმოება;
- (v) UWSCG-ს ტექნიკური ხელმძღვანელობის და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების პოლიტიკის და პროცედურების შესრულების დროს, საჭიროების შესაბამისად; და
- (ვი) ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების პროცედურებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

ბ. ინსტიტუციონალური პოტენციალი და განვითარება

46. UWSCG-ს ხარისხის მართვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი (DQMEP) პასუხისმგებელია EARF-ს განხორციელებაზე. UWSCG არის ახლად ჩამოყალიბებული კომპანია, რომელიც უფლებამოსილია წყალმომარაგების და სანიტარული მომსახურებების გაწევაზე საქართველოში. UWSCG-ს დაფუძნებამდე წყალმომარაგების და სანიტარული მომსახურებების (WSS) სექტორში დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები ხორციელდებოდა მუნიციპალური განვითარების ფონდს (MDF) მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის და მომსახურებების სექტორში დონორი ორგანიზაციებიდან ინვესტიციებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით დაფუძნებულ საქართველოს მთავრობის (GoG) ავტონომიურ იურიდიულ პირს. MDF ამჟამად ახორციელებს სხვადასხვა დონორების მიერ (მსოფლიო ბანკი, ADB, EBRD და MCC) დაფინანსებულ პროექტებს წყალმომარაგების და სანიტარული მომსახურებების (WSS) სექტორში.

47. რამდენადაც დღემდე ფოკუსირება ხდებოდა ძირითადად ფუნქციონირებაზე და მცირე სარემონტო სამუშაოებზე, ADB-ს მიერ დაფინანსებული წინამდებარე საინვესტიციო პროგრამა იქნება UWSCG-ს მიერ განხორციელებული პირველი სერიოზული პროექტი. გარემოსდაცვითი მდგრადობის, ასევე ხელისუფლების და დონორი ორგანიზაციების გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, UWSCG-მ დააფუძნა DQMEP, რომელსაც დაეკისრება შემდეგი პასუხისმგებლობები:

- (i) ეკოლოგიური დაცვის, ასევე წყლის ობიექტების და წყალმომარაგების სისტემის სანიტარული ზონების უსაფრთხოების შეფასება;
- (ii) წყალმომარაგების ობიექტებზე სანიტარული ნორმების დარღვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

- (iii) ნებისმიერი მასშტაბის ანთროპოგენური ზემოქმედების ეკოლოგიური შეფასების განხორციელება წყალმომარაგების სისტემის წყალშემკრებ აუზში;
- (iv) წყლის ეროზიის, ევტროფიკაციის და ნიადაგის დაღამვის თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- (v) აუზში მიწისქვეშა ჰორიზონტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დაცვის მიზნით მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განსაზღვრა;
- (vi) წყლის რესურსების გაძლიერებულ მოხმარებასთან და დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა და აღმოფხვრა, მართვისა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების გაუმჯობესება; და
- (vii) კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის შესრულება, რაც აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვისთვის.

48. ამჟამად, DQMEP-ს პირად შემადგენლობაში შედის ეკოლოგისტი/გარემოსდაცვითი სპეციალისტი, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს დეპარტამენტს. თანამდებობზე მყოფი ეკოლოგისტი/გარემოსდაცვითი სპეციალისტი, ეკოლოგიაში მაგისტრის ხარისხით და 7 წლიანი პროფესიული გამოცდილებით (ასევე 5 წელი MoEPNR-ს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში მუშაობის სტაჟით), კარგად იცნობს საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (EIP) პროცესებს, და სხვა სახელისუფლებო დადგენილებებს. ზემოთ წარმოდგენილი დავალებების შესრულებასთან ერთად, DQMEP პასუხისმგებელია EARF-ის განხორციელებაზე. მე-9 დანართში წარმოდგენილია DQMEP-ის პერსონალის შესაძლებლობების და მათ მიერ დამატებითი ვალდებულებების აღების უნარიანობის შეფასება.

49. DQMEP საჭიროებს სპეციალიზებულ ექსპერტიზას მთელი საინვესტიციო პროგრამის განმავლობაში, მართებული იქნება კონსულტანტების ხელშეწყობა, ვიდრე მუდმივი პერსონალის ყოფა. DC-ს და SC-ს მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის შესაბამისობასთან დაკავშირებულ ამოცანებს (გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლები წარმოდგენილია მე-10 და მე-11 დანართებში შესაბამისად). DC აწარმოებს გარესდაცვითი შეფასების ან გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევებს და ასევე პასუხისმგებელი იქნება შემარბილებელი ღონისძიებების პროექტირებაში ჩართვაზე და გარემოსდაცვითი ხარისხის მონიტორინგზე. SC ზედამხედველობას გაუწევს გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესრულებას მშენებლობის და გარემოსდაცვითი მონიტორინგის დროს. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი განახორციელებს შემარბილებელ ღონისძიებებს მშენებლობის დროს.

50. ასეთი მხარდაჭერით DQMEP-ის როლი შემოიფარგლება შემდეგი მოვალეობებით: SC-ს და DC-ს მუშაობის შემოწმება ან გაკონტროლება EARF-ის შესაბამისად; IEE/EIA ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, ასევე გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელებაზე კონტროლი; ADB-სთან თანამშრომლობა და ანგარიშგება, სახელისუფლებო მარეგულირებელ ორგანოებთან კავშირი ნებართვების, დამოწმებების და თანხმობების მოპოვების მიზნით; საჩივრების განხილვა; საზოგადოებასთან კონსულტაციების და ინფორმაციის მიწოდების ორგანიზება და კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი კარგად კვალიფიცირებული და მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვით შეფასებებში, მრავალმხრივ დაფინანსებულ პროექტებთან და განსაკუთრებით ADB-ს პროცედურებთან მიმართებაში დაუშვებელია რისამე ზემოქმედების ქვეშ მოქცევა. DQMEP საჭიროებს კონსულტანტის (გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის) დახმარებას ზოგადად EARF-ის განხორციელების დროს, და კონკრეტულად IEE/EIA ანგარიშების განხილვის და EMP-ის განხორციელების დროს (კონსულტანტის კომპტენციის ფარგლები იხილეთ მე-12 დანართში). ამრიგად, აუცილებელია სატრენინგო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის უზრუნველყოფა. ასევე აუცილებელია, რომ საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა ყველა დაინტერესებულმა პირმა იცოდეს EARF-ს დებულებები და ინფრასტრუქტურის პროექტების გარემოსდაცვითი მართვის ზოგადი ასპექტები.

51. სატრენინგო პროგრამა დაგეგმილია გარემოსდაცვითი მართვის და EARF-ს დებულებების სხვადასხვა ასპექტებში. ყველა სატრენინგო პროგრამა ჩატარდება საინვესტიციო პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე, და განმახორციელებელი სააგენტო პასუხისმგებელია მომზადებული პერსონალის მუდმივად არსებობაზე მთელი საინვესტიციო პროგრამის განმავლობაში. მე-4 ცხრილის მიხედვით სატრენინგო პროგრამის ღირებულებაა 23,000 აშშ დოლარი.

ცხრილი 4: სატრენინგო გეგმა

სატრენინგო აქტივობა და ხანგრძლივობა	კურსის შინაარსი	მიზნობრივი PA და ჯგუფის მოცულობა	ტრენერები/ მეთოდისტები	გაანგარიშებული ღირებულება (აშშდ \$)
გარემოსდაცვითი ღონისძიებები საინვესტიციო პროგრამაში – 1 დღე	<ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვასთან დაკავშირებული განხილვები ზოგადი განვითარების პროექტებში და WSS პროექტებში საქართველოს მთავრობის გარემოსდაცვითი მარეგულირებელი 	<ul style="list-style-type: none"> DQMEP-ის, UWSCG-ის პერსონალი და სერვის ცენტრები UWSCG-ის სხვა უფროსი ტექნიკური და 	MC გარემოსდაცვითი ექსპერტები და გარეშე რესურს პირები	10,000

სატრენინგო აქტივობა და ხანგრძლივობა	კურსის შინაარსი	მიზნობრივი PA და ჯგუფის მოცულობა	ტრენერები/ მეთოდისტები	გაანგარიშებული ღირებულება (აშშდ \$)
	<p>სტრუქტურის განხილვა</p> <ul style="list-style-type: none"> • ADB-ს 2009 წლის SPS-ს განხილვა • ADB-ს შესაბამისობის მოთხოვნები საინვესტიციო პროგრამისთვის 	<p>ადმინისტრაციული პერსონალი</p> <p>(50 ადამიანი)</p>		
<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ანალიზის პროცედურები (EARF) – 1 დღე</p>	<ul style="list-style-type: none"> • სააგენტოების ფუნქციები და პასუხისმგებლობების განხორციელების დროს • ქვეპროექტის შერჩევის კრიტერიუმები • პროექტის კატეგორიზაცია • გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელება ადგილზე, მათ შორის ხელახალი პროექტირება და საჩივრების განხილვა 	<ul style="list-style-type: none"> • DQMEP-ის პერსონალი • UWSCG-ის პერსონალი <p>(40 ადამიანი)</p>	<p>DC და MC გარემოსდაცვითი ექსპერტები და გარეშე რესურს პირები</p>	<p>10,000</p>
<p>ADB-ის სიფრთხილის ღონისძიებების განხორციელება GUSIIP-ში – 3 დღე</p>	<ul style="list-style-type: none"> • გარემოსდაცვითი შეფასების კვლევა ADB-ს 2009 წლის SPS-ს შესაბამისად • საზოგადოებასთან კონსულტაციები და ინფორმაციის მიწოდება • გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგ • ანგარიშგება • EARF-ის განახლება 	<ul style="list-style-type: none"> • DQMEP-ის პერსონალი • IPMO-ის უფროსი პერსონალი <p>(5 ადამიანი)</p>	<p>გარეშე რესურს პირები (უმჯობესია ADB-ს პერსონალი ან ADB-ს კონსულტანტი) MC გარემოსდაცვითი ექსპერტის დახმარებით</p>	<p>3,000</p>

ბ. კადრებით დაკომპლექტება და ბიუჯეტი

52. ADB და MoEPNR ზემოთ მითითებულ საკუთარ ვალდებულებებს შეასრულებენ, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკის ნაწილს და არ საჭიროებენ დამატებით უზრუნველყოფას საინვესტიციო პროგრამიდან, ბიუჯეტის ან სამუშაო ძალის თვალსაზრისით. UWSCG ასევე შეასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკის ნაწილს. საინვესტიციო პროგრამიდან გამოყოფილია გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა დახმარების და დიფერენციალური ადმინისტრაციის დასაფინანსებლად. საინვესტიციო პროგრამის 1-ლი ტრანშე შედგება წყალმომარაგების მოცულობითი გაუმჯობესებისგან საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ სამ ქალაქში: მარნეულში, ზუგდიდში და მესტიაში, რომლისთვისაც IEE კვლევა განხორციელდა PPTA-ს საშუალებით. აღნიშნული IEE ანგარიშები საჭიროებს განახლებას დეტალური პროექტირების დროს, რათა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების და მოდიფიკაციების ასახვა.

53. EARF-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები მოიცავს:

- IEE ან EIA კვლევების ჩატარებას, ანგარიშების მომზადებას და წარდგენას, ასევე საზოგადოებასთან კონსულტაციებს და ინფორმაციის მიწოდებას.
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმების განხორციელება.
- ტრენინგები და შესაძლებლობების განვითარება.

54. პირველადი ეკოლოგიური კვლევის (IEE) ხარჯები. თუ ქვეპროექტის შერჩევის სახელმძღვანელო მითითებები მთლიანად დაკმაყოფილდება, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ყველა სამომავლო პროექტი კლასიფიცირდება „ბ“ კატეგორიად (საჭიროებს პირველად ეკოლოგიურ კვლევას). ADB-ს მოთხოვნებთან ერთად, საკანალიზაციო ქვეპროექტები საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას MoEPNR-დან, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. პრაქტიკაში, UWSCG-მ უნდა უზრუნველყოს ერთი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მოემსახურება ორივე მიზანს ერთდროულად, ორმაგი ძალისხმევის თავიდან აცილების მიზნით. ასე, რომ ბიუჯეტის მიზნებისთვის, სავარაუდოდ იქნება 12 პირველადი ეკოლოგიური კვლევა (IEE) 12 ქვეპროექტისთვის საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ ექვს ქალაქში. ამასთან, PPTA-ს საშუალებით მომზადებული 1-ლი ტრანშის პირველადი ეკოლოგიური კვლევები (IEEs) საჭიროებს განახლებას დეტალური პროექტირების დროს, ადგილმდებარეობაში ან/და პროექტის დიზაინში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით. ეს უნდა განხორციელდეს უშუალოდ DEQMP-მ.

55. ზოგადად, პირველადი ეკოლოგიური კვლევა (IEE) ეყრდნობა არსებულ მონაცემებს საპროექტო ტერიტორიაზე გარემოს პირობების აღწერის მიზნით, და მოსალოდნელი არ არის სერიოზული კვლევების განხორციელება. ამრიგად, სამუშაო მოიცავს არსებულ გარემო პირობებზე და შეთავაზებულ პროექტზე ინფორმაციის მოპოვებას და ანალიზს, ასევე შეზღუდულ სავსელ კვლევებს გარემოსდაცვითი

ხარისხის დადგენის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შემცირების, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და ბიუჯეტის მომზადების, საზოგადოებასთან კონსულტაციების და პირველადი ეკოლოგიური კვლევის ანგარიშის მომზადების მიზნით. საშუალო პირველადი ეკოლოგიური კვლევა ამ ტიპის ქვეპროექტისთვის საჭიროებს ორ თვიან ძალისხმევას და უნდა შესრულდეს შესაბამისი (ბუნებრივ გარემოში და სოციალურ საკითხებში სპეციალიზებული) პირის მიერ. სხვა დახარჯები წარმოადგენს საზოგადოებასთან კონსულტაციების და დოკუმენტების მიწოდების ხარჯებს.

56. **გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელების ხარჯები.** ADB PPTA-ს დროს პროექტების პირველი ტრანშესთვის შესრულებული პირველადი ეკოლოგიური კვლევების მიხედვით, ტიპური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელება საჭიროებს გამოცდილი გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტის (EMS) სამსახურს სრული სამი თვის განმავლობაში საშუალოდ 6 თვიან პროექტირების და 24 თვიან სამშენებლო პერიოდში რეგულარული დაკვირვებების და კვლევების წარმოების მიზნით. ამას გააკონტროლებს DQMEP-ს გარემოსდაცვითი მართვის სპეციალისტი (EMS), რაც სავარაუდოდ საჭიროებს 2 კვირიან პერიოდს. **მე-5 ცხრილში** მითითებულია პირველადი ეკოლოგიური კვლევის (IEE) მომზადების ღირებულება და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელების ღირებულება.

ცხრილი 5: თითოეული ქვეპროექტის გარემოსდაცვითი მართვის ხარჯები

საკითხი	რაოდენობა	ერთეულის ფასი*	სულ ხარჯები	შენიშვნები
1. გარემოსდაცვითი შეფასების კვლევა				
ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტი	2 PM	10,000	20,000	DC გუნდის ნაწილი
კვლევები	Sum	LS	2,500	
საზოგადოებასთან კონსულტაციები და ინფორმაციის მიწოდება	Sum	LS	2,500	
<i>სულ 1 IEE კვლევის მიხედვით</i>	-		25,000	
2. EMP-ის განხორციელება (2 წელი)				
გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტი	3 PM	10,000	30,000	DC&SC გუნდები
გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტი	0.5 PM	10,000	5,000	DQMEP კონსულტანტი
კვლევები და გარემოსდაცვითი მართვის ხარჯები	Sum	LS	5,000	
<i>სულ 1 EMP განხორციელების მიხედვით</i>			40,000	
სულ ერთი ქვეპროექტისთვის			65,000	

*ერთულის ფასი მოიცავს შრომის ანაზღაურების, მგზავრობის და ყოველდღიურ ხარჯებს

57. ცხრილი 6 მოცემულია EARF-ს განხორციელების სრული ხარჯები, რაც შეადგენს 923,000 აშშ დოლარს.

ცხრილი 6: EARF-ს განხორციელების გაანგარიშებული ხარჯები

საკითხი	რაოდენობა	ერთულის ფასი	სულ ხარჯები
		\$	\$
UWSCG უნარების განვითარება			
ტრენინგი და უნარების განვითარება	LS	-	23,000
<i>ჯამი</i>			<i>23,000</i>
IEE კვლევების წარმოება			
IEE კვლევები მე-2 ტრანშის ქვეპროექტებისთვის	6	25,000	150,000
IEE კვლევები მე-3 ტრანშის ქვეპროექტებისთვის	6	25,000	150,000
<i>ჯამი</i>			<i>300,000</i>
EMP-ის განხორციელება და მონიტორინგი			
1-ლი ტრანშის ქვეპროექტის განხორციელება	3	40,000	120,000
მე-2 ტრანშის ქვეპროექტების განხორციელება	6	40,000	240,000
მე-2 ტრანშის ქვეპროექტების განხორციელება	6	40,500	240,000
<i>ჯამი</i>			<i>600,000</i>
სულ ჯამი			923,000

VI. მონიტორინგი და ანგარიშგება

58. DQMEP-ს საშუალებით UWSCG უზრუნველყოფს იმ კონსულტანტების მუშაობის მონიტორინგს, რომლებიც ასორციელებენ EIA და IEE კვლევებს ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთების დროს და დეტალური პროექტირების ეტაპებზე. UWSCG განსახილველად ADB-ს წარუდგენს შერჩეული ქვეპროექტების EIA და IEE ანგარიშების ჩარჩო ვერსიებს და უზრუნველყოფს, რომ საბოლოო ვერსიების წარმოდგენისას კონსულტანტებმა გაითვალისწინონ ყველა კომენტარი.

- (i) „ა“ კატეგორიის ყველა ქვეპროექტის EIA ანგარიშები.
- (ii) IEE ანგარიშები თითოეული სექტორიდან (წყალმომარაგება და კანალიზაცია) მომდევნო ტრანშეებში.
- (iii) 1-ლი ტრანშეს ქვეპროექტების ყველა განახლებული ან განხილული IEE.

59. UWSCG ასევე MoEPNR-ს წარუდგენს EIA და IEE ანგარიშებს და გარემოსდაცვითი ნებართვის განცხადებებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

60. UWSCG უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შესრულების (ძირითადად კონტრაქტორების მხრიდან) მონიტორინგ ქვეპროექტების მშენებლობის დროს. მონიტორინგის განხორციელების შედეგები გადაეცემა ADB-ს რეგულარულად, წელიწადში ორჯერ გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშების (EMR) საშუალებით.

61. **EARF-ს განხილვა და განახლება.** თითოეული PFR-ს მომზადებამდე EARF-ს გამოყენებადობას და შესაბამისობას განიხილავს და განახლებს DQMEP, ქვეყნის სამართლებრივ სტრუქტურასთან და ADB-ს სიფრთხილის ღონისძიებების პერიოდულად შესწორებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საინვესტიციო პროგრამის მიმდინარეობის დროს, აღნიშნული პერიოდული განხილვა ან განახლება ასევე უნდა ასახავდეს ქვეპროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებას და საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროექტის შერჩევის კრიტერიუმები შესწორდება მნიშვნელოვანი ზემოქმედებების თავიდან აცილების მიზნით. ADB განიხილავს შესწორებულ EARF-ს, რის შემდეგაც აღმასრულებელი სააგენტო უზრუნველყოფს მის ფორმალურ მიღებას.

საქართველოს დაცული ტერიტორიები

I სახელმწიფო ნაკრძალი	1	ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი	
	2	ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი	
	3	ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი	
	4	კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი	
	5	ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი	
	6	ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი	
	7	ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი	
	8	მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი	
	9	ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი	
	10	ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი	
	11	რიწის სახელმწიფო ნაკრძალი	
	12	სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი	
	13	თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი	
	14	ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი	
II ეროვნული პარკი	1	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	
	2	კოლხეთის ეროვნული პარკი	
	3	მტირალას ეროვნული პარკი	
	4	თუშეთის ეროვნული პარკი	
	5	ვაშლოვანის ეროვნული პარკი	
	6	ალგეთის ეროვნული პარკი	
	7	ყაზბეგის ეროვნული პარკი	
	8	თბილისის ეროვნული პარკი	
III ბუნების ძეგლი	1	ალაზნის ჭაღის ბუნების ძეგლი	
	2	არწივის ხეობის ბუნების ძეგლი	
	3	ტახტის ტეფას ბუნების ძეგლი	
	4	იმერეთის ქვაბულის ბუნების ძეგლი	
IV აღკვეთილი	5	ჭაჭუნის აღკვეთილი	
	6	გარდაბნის აღკვეთილი	
	7	იღტოს აღკვეთილი	
	8	ლორის აღკვეთილი	
	9	კაცობურის აღკვეთილი	
	10	ქობულეთის აღკვეთილი	
	11	ყორულის აღკვეთილი	
	12	ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი	
	13	ლაგოდეხის აღკვეთილი	
	14	ნეძვის აღკვეთილი	
	15	თეთრობის აღკვეთილი	
	16	აჯამეთის აღკვეთილი	
	V დაცული ლანდშაფტი	1	თუშეთის დაცული ლანდშაფტი
		2	კინტრიშის დაცული ლანდშაფტი

დანართი 2

ზოგადი მოთხოვნები: წყალსაცავებში წყლის შემადგენლობისა და თვისებების ნორმები წყლის მოხმარების კატეგორიების მიხედვით (საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისგან დაცვის წესების დანართი 1).

წყლის მოხმარების კატეგორია				
			მეთევზეობა	
მაჩვენებლები	მოსახლეობის სასმელი-სამეურნეო მიზნებისათვის	მოსახლეობის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის	უმაღლესი და პირველი კატეგორია	მეორე კატეგორია
1	2	3	4	5
შეწონილი ნაწილაკების შემცველობის ზრდის დასაშვები ზღვარი:				
შეწონილი ნაწილაკები	0,25 მგ/ლ		0,75 მგ/ლ	0,25 მგ/ლ 0,75 მგ/ლ
	ის, მდინარეები, რომლებიც შეიცავს 30 მგ/ლ ბუნებრივ შეწონილ ნაწილაკებს წყლის მინიმალურად დაბალი დონის პერიოდში, ამ ნაწილაკების შემცველობის ზრდა დასაშვებია 5% ფარგლებში.			
	თუ ჩამდინარე წყალი შეიცავს შეწონილ ნაწილაკებს, რომელთა დალექვის სიჩქარე არ აღემატება 0,2 მმ/წმ, მათი გადაშვება იკრძალება წყალსაცავებში (ტბებში), ხოლო თუ აღნიშნული სიჩქარე აღემატება 0,4 მმ/წმ – მდინარეებში (არხებში).			
მოტივტივე ნარევები (ნივთიერებები)	ნავტობპროდუქტების, ზეთებისა და ცხიმების და სხვა ნარევების ფენები არ უნდა ჩანდეს წყლის ზედაპირზე.			
ფერი	არ უნდა ჩანდეს წყლის სვეტში:		წყალმა არ უნდა მიიღოს უცხო ფერი	
	20 სმ		10 სმ	
სუნი, გემო	წყალმა არ უნდა მიიღოს 1 ქულაზე მეტი ინტენსიურობის სუნი და გემო, რომელიც შეიძლება დაფიქსირდეს:			
	მაშინვე, დამატებითი ქლორირების ან სხვა სახის დამუშავების შემდეგ		მაშინვე	
	წყლის ტემპერატურა ზაფხულში არ უნდა გაიზარდოს 3°C-ზე მეტად კანალიზაციის წყლის ჩაშვების შედეგად ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყველაზე ცხელი თვის საშუალო თვიურ ტემპერატურასთან შედარებით.		წყლის ტემპერატურა არ უნდა გაიზარდოს 5°C-ზე მეტად წყალსაცავის ბუნებრივ ტემპერატურასთან შედარებით. გარდა ამისა, წყლის ობიექტებში, სადაც ცივი წყლის თევზი (ორაგული და თეთრი თევზი (სიგი) ბინადრობს: 20°C ზაფხულში და 5°C ზამთარში, ხოლო წყლის სხვა ობიექტებისათვის – 28°C ზაფხულში და 8°C – ზამთარში.	
რეაქცია (pH)	არ უნდა აღემატებოდეს: 6,5 – 8,5			
წყლის მინერალიზაცია	არ უნდა აღემატებოდეს 1000 მგ/ლ, საიდანაც: ქლორიდები – 350 მგ/ლ, სულფატები – 500 მგ/ლ.		იგივე სტანდარტები, რომლებიც დაწესებულია სტანდარტები – სათევზაო წყლის ობიექტების	

		ზემოაღნიშნული “გემოს” მაჩვენებლებისთვის.	დაბეგურის შესაბამისად.	
ჟანგბადის შემცველობა წყალში	წყლის ნებისმიერი დონის პერიოდში არ უნდა იყოს ნაკლები:			
	4 მგ/ლ	4 მგ/ლ	6 მგ/ლ	6 მგ/ლ
BOD 20°C ტემპერატურაზე არ უნდა აღემატებოდეს :	3 მგ/ლ	6 მგ/ლ	3 მგ/ლ	6 მგ/ლ
COD არ უნდა აღემატებოდეს:	15 მგ/ლ	30 მგ/ლ		
დაავადების გამომწვევი:	წყალი არ უნდა შეიცავდეს დაავადების გამომწვევ ელემენტებს – ჰელმინთების სიცოცხლისუნარიან კვერცხებს, ტენიდიუმის ონკოსფეროებს და პათოგენური ნაწლავური ჩხირების უმარტივესთა სიცოცხლისუნარიან ციხტებს			
ლაქტოზა დადებითი ნაწლავური ბაცილა	1 - 10000	1 – 5000		
კოლიფაგები არ აღემატება	1 – 100 I	1 – 100		
წყლის ტოქსიკურობა			არ უნდა ახდენდეს სერიოზულ ტოქსიკურ ზეგავლენას ტესტ- ობიექტებზე წყლის ობიექტებში კანალიზაციის წყლის ჩაშვების პუნქტებში. საკონტროლო ჭრილის წყლის ობიექტებიდან აღებულ წყალი არ უნდა ახდენდეს ქრონოკულ ტოქსიკურ ზეგავლენას ტესტ- ობიექტზე.	

წყალსატევებში დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები წყლის მოხმარების კატეგორიების მიხედვით (საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესების №2 დანართი)

№	ინგრედიენტი	საფრთხის კლასი	სასმელი-ეკონომიკური-საყოფაცხოვრებო მოხმარების წყალსატევებისათვის		თევზჭერის მიზნით წყლის მოხმარების წყალსატევებისთვის	
			მავნებლობის ზღვრული მაჩვენებლები	მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ	მავნებლობის ზღვრული მაჩვენებლები	მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ
1	2	3	4	5	6	7
1	ამინო აზოტი	3	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,39	ტოქსიკოლოგიური	0,39
2	ალუმინი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,5	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,5
3	ბარიუმი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,1	ორგანოლექტიკური	2,0
4	ბერილი	1	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,0002	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,0002
5	ბორი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,5	ტოქსიკოლოგიური	10,0
6	დარიშხანი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,05	ტოქსიკოლოგიური	0,05
7	ვანადიუმი	3	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,001
8	ვერცხლისწყალი	1	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,0005	ტოქსიკოლოგიური	0,00001 (არ უნდა იყოს)
9	ვოლფრამი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,005	ტოქსიკოლოგიური	0,0008
10	თუთია	3	ზოგადი სანიტარული	1,0	ტოქსიკოლოგიური	0,01
11	კადმიუმი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,001	ტოქსიკოლოგიური	0,005
12	კობალტი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,01
13	კაპროლაქტამი	4	ზოგადი სანიტარული	1,0	ზოგადი სანიტარული	1,0
14	მანგანუმი	3	ორგანოლექტიკური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,01
15	მოლიბდენი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,25	ტოქსიკოლოგიური	0,012
16	ნიტრატები	3	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	45,0	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	40,0
17	ნიტრიტები	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	3,3	ტოქსიკოლოგიური	0,08
18	ნიკელი	3	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,1	ტოქსიკოლოგიური	0,01
19	რკინა	3	ორგანოლექტიკური	0,3	ტოქსიკოლოგიური	0,005
20	სელენიუმი	2	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	0,001	ტოქსიკოლოგიური	0,0016
21	სპილენძი	3	ორგანოლექტიკური	1,0	ტოქსიკოლოგიური	0,001
22	სულფატები	4	ორგანოლექტიკური	500	სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური	100,0

(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 18.12.2007. მუხლი № 179 1973)

რეგისტრირებული
საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
რეგისტრაციის №
470.230.000.22.035.011.242

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
დადგენილება № 349/N
17 დეკემბერი, 2007

სასმელი წყლის ტექნიკური წესების დამტკიცების შესახებ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ კანონის მე-3 მუხლის “ქ” პუნქტის და 23-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული “სასმელი წყლის ტექნიკური ნორმები”.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი

სასმელი წყლის ტექნიკური ნორმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე ტექნიკური ნორმები შემუშავებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ საქართველოს კანონის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების, ევროდირექტოვების, ქვეყნის რეგიონალური მახასიათებლების და კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების საფუძველად და ადგენს ადამიანისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის სანიტარულ ნორმებს.
2. წინამდებარე ტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:
 - ა) ბუნებრივი თუ დამუშავებული წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, საკვებში და სხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, წარმოშობისა და მოწოდების მეთოდების (გამანაწილებელი ქსელი, ავზი თუ ცისტერნა, ბოთლი თუ კონტეინერი) მიუხედავად;
 - ბ) წყალი, რომელიც გამოიყენება სასურსათო ან კვების პროდუქტებში.
3. წინამდებარე ტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - ა) სამკურნალო მინერალური წყლები;
 - ბ) სამედიცინო წყალი და სხვა სპეციალური დანიშნულების წყალი;
 - გ) სასმელი წყალი, რომელიც მოწოდებულია გარკვეული ინდივიდუალური წყაროთი, რომლის მოცულობა – 10მ³/დღე – ემსახურება 50-ზე ნაკლებ პირს, რომელიც არ შედის კომერციულ ან საზოგადოებრივ ქსელში.
 - დ) ბუნებრივი მინერალური წყლები, რომლებშიც მინერალიზაცია აღემატება 1500 მგ/ლ-ს.

4. შემდეგი მახასიათებლები და მათი ნორმატიული მოცულობა განისაზღვრება სასმელი წყლის ტექნიკური ნორმებით:
 - ა. ორგანოლექტიკური მახასიათებლები;
 - ბ. მიკრობიოლოგიური, ინფრამიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მახასიათებლები;
 - გ. ქიმიური მახასიათებლები (ზოგადი მახასიათებლები, არაორგანული და ორგანული ნივთიერება);
 - დ. რადიაციული უსაფრთხოების მახასიათებლები;
